ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№44

ქ. თბილისი; 19 აპრილი, 2019 წ. 11 :00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ქეთევან მამულაშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ელენე ოზაშვილი
ნინო ლაცაბიძე
ლილე ლიპარტელიანი
დავით ჭელიძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი - ნინო კვეტენაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი- გაიოზ თალაკვაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ლევან მიქავა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი - ნუცა ცქიტიშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სამდივნოს უფროსი - სალომე ვერულაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - მაკა ნასრაშვილი

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

## დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

2. „კომერციულ ბანკებში საკრედიტო ხაზის ლიმიტის გაზრდის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. „სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლისათვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №24-26-ის მიმდებარედ არსებული 42 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.05.010.047) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაიფაზისთვის“ (ს/ნ: 404553700) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. “ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. №51/2-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.132.009) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიისთვის“ (ს/ნ: 204861961) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. „ქალაქ თბილისში, შ. დადიანის ქ. №7-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის **(საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.025)** პირდაპირი განკარგვის წესით მიხეილ გავაშელისთვის (პ/ნ: 01019062511) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისში, იერუსალიმის ქ. №1-ის მიმდებარედ არსებული 83 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.066.011) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ქერო“-სთვის (ს/ნ: 416341300) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის

საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. "ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის III მიკრორაიონის II კვარტალის კორპუს N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.006.006.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს მდებარე 35047 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.17.005.109) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გაწკარგულების პროექტი.

11. "ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე წყალმომარაგების ქსელის (ს/კ: #81.00.885) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. "ქალაქ თბილისში, ოცხელის ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.002.017.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.518) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. "ქალაქ თბილისში, ქუჩა ანნა პოლიტკოვსკაიას N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.509) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. "ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მასივი-3, III მიკრორაიონის კორპუსი N319კ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.010.001.01.024) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. "ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.15.001.300.03.03.007; №01.14.15.001.300.03.03.520) პირდაპირი განკარგვის

ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. “ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების I მიკრორაიონის კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.087.02.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თაესჯდომარის - ბექა დავითულიანის და ამავე ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების - ვახტანგ შაქარიშვილის და ჯაბა ჯიშკარიანის განცხადებები.

19. “საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის“ (ს/კ 202058520) ლიკვიდაციის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - **გაიოზ თალაკვაძემ**, სხდომაზე დამსწრე წევრებს, თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში გააცნო, რომელიც სტრუქტურული ერთეულებიდან, რაიონის გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით მომზადდა.

როგორც **გაიოზ თალაკვაძემ** აღნიშნა, წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების გეგმიურ მაჩვენებლებთან ფაქტობრივი მოცულობების შედარებას, ასევე ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის და პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას. ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის და მიღწეული შედეგების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და

სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

მომხსენებლის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 1,052,185.7 ათასი ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 1,094,094.4 ათასი ლარი, აწუ გეგმის 104%.

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 1,000,685.7 ათასი ლარი, ფაქტობრივად 1,039,090.5 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 103.8% და მთლიანი - შემოსულობების 95% შეადგინა.

ამასთან, 2018 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 35,566.8 ათასი ლარი, ხოლო,2018 წლის ბოლოსათვის - 63,085.2 ათასი ლარი.

საკითხის წარმომდგენმა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები დაასახელა:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 297,807.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (304,437.2 ათასი ლარი) 97.8%-ია;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 174,491.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (179,357.9 ათასი ლარი) 97.3%-ია;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 138,676.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (140,287.1 ათასი ლარი) 98.8%-ია;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1,888.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (2,257.3 ათასი ლარი) 83.7%-ია;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 17,662.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (18,219.6 ათასი ლარი) 96.9%-ია;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 192,866.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (194,113.5 ათასი ლარი) 99.4%-ია;
- განათლება - 140,951.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (142,726.2 ათასი ლარი) 98.7%-ია;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 27,016.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (28,665.7 ათასი ლარი) 94.2%-ია;

- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 3,604.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (3,633.8 ათასი ლარი) 99.2%-ია;

- ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 71,610.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (73,165.3 ათასი ლარი) 97.9%-ია

როგორც **ბატონმა გაიოზმა** აღნიშნა, **გადასახადების სახით,** ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 249,606.5 ათასი ლარი (ფაქტი). წინა წელთან შედარებით (ფაქტი – 256,944.2 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში **7,337.8 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული.**

**საშემოსავლო გადასახადიდან** ფაქტობრივად მიღებულია **59,754.5 ათასი ლარი.**

ასევე, ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 189,851.9 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან - 152,708.9 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი - 20,317.2 ათასი ლარი, მიწის გადასახადიდან - 16,825.8 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 165,644.2 ათასი ლარი) შედარებით 24,207.7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე მოდის.

როგორც **მომხსენებელმა** აღნიშნა, **ქონების გადასახადის შესრულების** 2014-2018 წლების დინამიკის გათვალისწინებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 2018 წელს (12 თვის ფაქტზე დაყრდნობით) **189 851,9 ათასი ლარის ოდენობით.**

**ბატონი თალაკვაძის** თქმით, საანგარიშო პერიოდში **გრანტების სახით** ბიუჯეტში ჩარიცხულია **579,564.6 ათასი ლარი,** მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 297.7 ათასი ლარი (მათ შორის ევროკავშირის მიერ მიღებული გრანტი - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის"), სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები **-579,266.9 ათასი ლარი.**

**სხვა შემოსავლებისთვის** განსაზღვრული **170,779.7**ათასი ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ **209,919.4** ათასი ლარი შეადგინა, რაც **გეგმის 122.9%-ია**

**პროცენტების** სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია **10,932.6** ათასი ლარი.

**დივიდენდებიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია **45.4** ათასი ლარი.

**რენტის სახით** მობილიზებულია 5,121.2 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 1,761.8 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 3,359.4 ათასი ლარი.

როგორც **გაიოზ თალაკვაძემ** აღნიშნა, **ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან** მიღებულია 145,483.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (121,175.0 ათასი ლარი) 120.1%-ია. მათ შორის:

- **სანებართვო მოსაკრებლიდან** მთლიანობაში მიღებულია 7,331.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,850.0 ათასი ლარი) 396%-ია (მოსაკრებლის აკუმულირების მაჩვენებელი მწიშვნელოვნად გაიზარდა, რაც გამოწვეულია მშენებლობის ნებართვის კოეფიციენტის (არსებული და ახალი) ზრდით, ასევე, 2018 წელს დაწესდა ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე მოსაკრებელი).

- **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 77,868.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (64,000.0 ათასი ლარი) 121.7%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (62,995.3 ათასი ლარი) შედარებით 14,872.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად სამორინეს მაგიდიდან მიღებულ შემოსავალზე მოდის (2017 წელს - 17,901.4 ათასი ლარი). მიმდინარე პერიოდში ობიექტების მიხედვით მიღებული თანხები შემდეგნაირად განაწილდა: სათამაშო აპარატებიდან ბიუჯეტში მიღებულია 44,484.4 ათასი ლარი (57.1%), სამორინეს მაგიდიდან - 26,870.3 ათასი ლარი (34.5%), ხოლო დარჩენილი - 6,513.4 ათასი ლარი (8.4%) ნაწილდება წამახალისებელ გათამაშებებზე და სხვა სახის ობიექტებზე;

- **დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 47,420.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 45,000.0 ათასი ლარის 105.4%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (45,882.9 ათასი ლარი) შედარებით 1,537.4 ათასი ლარით მეტია.

- **სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან** მიღებულია 40.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (70.0 ათასი ლარი) 58.3%-ია.

- **მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის** მიღებულია 11,854.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (10,000.0 ათასი ლარი) 119%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (19,472.9 ათასი ლარი) შედარებით 7,618.7 ათასი ლარით ნაკლებია.

**მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის** თქმით, **მომსახურების გაწევიდან** მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 1,408.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,300.0 ათასი ლარი) 108.3%-ია. მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 1,285.4 ათასი ლარი, შემოსავალი მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 108.3 ათასი ლარი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან - 14.4 ათასი ლარი.

**ჯარიმებიდან და საურავებიდან** მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 38,250.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (33,971.2 ათასი ლარის) 112.6%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (27,819.3 ათასი ლარი) შედარებით 10,431.4 ათასი ლარით მეტია, რაც ძირითადად გამოწვეულია საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ამოღებული ჯარიმების ზრდით (2017 წელს - 12,234.1 ათასი ლარი), მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 23,296.6 ათასი ლარი, დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის გამო - 5,181.9 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 3,645.0 ათასი ლარი, დასუფთავების წესების დარღვევის გამო - 634.9 ათასი ლარი, სხვა ჯარიმები - 5,492.3 ათასი ლარი.

**შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 8,676.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (6,733.4 ათასი ლარი) 128.9%-ია.

**მომხსენებელმა** განმარტა, რომ **გადასახდელების** საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1,086,863.6 ათასი ლარი, აღებულმა ვალდებულებებმა - 1,077,516.7 ათასი ლარი, გეგმის 99.1%, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1,066,576.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.1%-ი და აღებული ვალდებულებების - 99%-ია. **მათ შორის:**

- **ხარჯების** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 570,748.8 ათასი ლარი, აღებულმა ვალდებულებებმა - 566,581.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 563,028.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.6%-ი და აღებული ვალდებულებების 99.3%-ია.

- **არაფინანსური აქტივების ზრდის** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 200,949.5 ათასი ლარი, აღებულმა ვალდებულებებმა - 196,166.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 188,778.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93.9%-ი და აღებული ვალდებულებების 97.6%-ია.

- **ფინანსური აქტივების ზრდის** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 311,916.4 ათასი ლარი, აღებულმა ვალდებულებებმა - 311,668.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 311,668.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ი და აღებული ვალდებულებების 99.9%-ია.

- **ვალდებულებების კლების** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3,248.9 ათასი ლარი, აღებულმა ვალდებულებებმა - 3,100.7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა 3,100.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.4%-ი და აღებული ვალდებულებების 95.4%-ია.

**ბატონი გაიოზის** თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით;

- ✓ **„შრომის ანაზღაურების"** მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 79,163.5 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 78,760.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.5%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 14%-ია.

- ✓ **„საქონელი და მომსახურების"** მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 136,583.2 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 131,924.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 96.6%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 23.4%-ია.

- ✓ **„სუბსიდიების"** მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 105,185.8 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 105,141.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 18.7%-ს შეადგენს.

- ✓ **„გრანტების"** მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 863.1 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 843.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 97.7%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 0.1%-ს შეადგენს.

- ✓ **„სოციალური უზრუნველყოფის"** მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 161,358.5 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 160,832.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.7%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 28.6%-ს შეადგენს.

- ✓ ბიუჯეტით გათვალისწინებული **სარეზერვო ფონდიდან** საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი 2,815.1 ათასი ლარიდან **გადარიცხულია 2,747.1 ათასი ლარი.**

**აზრი გამოთქვეს:**

ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრი - **ელენე ოზაშვილი** დაინტერესდა, საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისთვის განკუთვნილი თანხების თაობაზე და საკითხის წარმომდგენს დაუსვა შეკითხვა, ქ. თბილისის №100 საბავშვო ბაგა-ბაღში განსახორციელებელი სარემონტო სამუშაოების შესახებ.

**მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა** უპასუხა ქალბატონ ელენეს და განმარტა, რომ არ ფლობს ინფორმაციას რომელიმე კონკრეტულ საბავშვო ბაღთან დაკავშირებით. რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, მისივე თქმით, წლის განმავლობაში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისთვის განკუთვნილი თანხების ნაწილის ასახვა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში მოხდება.

**კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, კომისიის მიერ შემუშავებულ იქნება **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის**

დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც, დანართის სახით დაერთვება, კომისიის მიერ მომზადებულ დასკვნას.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა - **ელენე ოზაშვილმა.**

ხალხის, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ შემუშავებული, დასკვნაზე ჩანდართული განკარგულების პროექტი, განხილულ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

**მოისმინეს:**

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - **გაიოზ თალაკვაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „კომერციულ ბანკებში საკრედიტო ხაზის ლიმიტის გაზრდის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ქალაქ თბილისის მთავრობას №29 განკარგულებით მისცა თანხმობა კომერციულ ბანკში საკრედიტო ხაზის, 62 820 000 (სამოცდაორი მილიონ რვაასოცი ათასი) ლარის ოდენობით გახსნის თაობაზე.

**მომხსენებლის** თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, კომერციულ ბანკში კაპიტალური ინვესტიციების განხორციელების მიზნით, საკრედიტო ხაზის ლიმიტის 12 000 000 (თორმეტი მილიონი) ლარით გაზრდას.

**აზრი გამოთქვა:**

**კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, აღნიშნული თანხები მოხმარდება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში კაპიტალური ინვესტიციების განხორციელებას, კერძოდ, ქალაქ თბილისის მასშტაბით გზების კაპიტალურ შეკეთებას, მეტროს ვაგონების მოდერნიზაციასა და მეწყერსაწინააღმდეგო საინჟინრო ნაგებობების მშენებლობას.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, **თავმჯდომარემ** აღნიშნა, რომ სამართლებრივ საფუძვლებში ასევე უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა- **ელენე ოზაშვილმა,**

ასევე, განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**3.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სამდივნოს უფროსმა - **სალომე ვერულაშვილმა,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მიერ, ინიციირების წესით წარმოდგენილი „სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლისათვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიხედვით, ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლას ეწიჭება რუსტამ ისაევის სახელი.

როგორც **მომხსენებელმა** განმარტა, რუსტამ ისაევი მრავალი წლის განმავლობაში გახლდათ №218 საჯარო სკოლის დირექტორი. მისი ხელმძღვანელობით გაიზარდა მოსწავლეების განათლების ხარისხი. რუსტამ ისაევი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სოფელი ფონიჭალის მოსახლეობაში და მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის აღნიშნული სკოლის დაარსებისა და მშენებლობის საქმეში.

**საკითხის წარმომდგენმა** იქვე დასძინა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ იქნა, სოფელ ფონიჭალის მოსახლეობის, უხუცესთა საბჭოსა და №218 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის დადებითი პოზიცია, აღნიშნული სკოლისთვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვა:**

**კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში, ნაცვლად საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა უნდა მიეთითოს ამავე კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი. ასევე, სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ უნდა იქნას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, რადგან აღნიშნული პუნქტი ეხება საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსთვის სკოლისთვის სახელის მინიჭების შესახებ განაცხადის წარდგენას.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა - **ნუცა ცქიტიშვილმა,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, ცვლილება შედის, დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესში, რომლის თანახმადაც, 2019 წლის პირველი აპრილიდან წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელი, თითოეული მომსახურების ფარგლებში ვალდებულია ყოველთვიურად მომსახურება გაუწიოს არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) მოსარგებლისა, ხოლო „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ყოველთვიურად მომსახურება გაუწიოს არაუმეტეს 150 (ას ორმოცდაათი) მოსარგებლეს, ნაცვლად არაუმეტეს 100 (ასი) მოსარგებლისა, გარდამე-7 მუხლისმე-2 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის შემმოწმებელი დაწესებულებისა.

**საკითხის წარმომდგენის** თქმით, წარმოდგენილი პროექტით ასევე ცვლილება შედის „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში, რომლის თანახმადაც დგინდება, რომ ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსება საქართველოში ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის/თანხმობის წერილის მეშვეობით. ნაცვლად, დაფინანსების აქამდე არსებული ზღვრული ოდენობის-არაუმეტეს დადგენილი ტარიფის 50%-ისა, დგინდება არაუმეტეს 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარის ოდენობა, ხოლო პაციენტის თანაგადახდა განისაზღვრება დადგენილი ტარიფის არაუმეტეს 50%-ის ნაცვლად, არაუმეტეს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარით.

**აზრი გამოთქვა:**

**ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ასევე, უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა და დადგენილების პირველი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში მითითებულ იქნას წესის „პუნქტი“, ნაცვლად „ქვეპუნქტისა“.

ამასთან, **ბატონი ლევანის** თქმით, მიზანშეწონილია, რომ დადგენილების პროექტის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2.

1. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 აპრილიდან.“

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

5. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №24-26-ის მიმდებარედ არსებული 42 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან **(საკადასტრო კოდი: №01.15.05.010.047)** 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით **შპს „მაიფაზისთვის“ (ს/ნ: 404553700)** იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის განმარტებით,** წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „მაიფაზისთვის“, ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №24-26-ის მიმდებარედ არსებული 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 3 (სამი) წლის ვადით.
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - 3 600 (სამი ათას ექვსასი) ლარი.

**საკითხის წარმომდგენმა** დაამატა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, კომპანია იჯარის უფლებით ფლობს, ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №26-ში მდებარე, **90.45** კვ.მ. ფართს, **10 წლის ვადით.**

დასასრულს, **ნინო კვეტენაძემ** აღნიშნა, რომ არქიტექტურის სამსახურის წერილის თანახმად, დადებითი შეფასება მიეცა 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვის საკითხს ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი რეკომენდაციით: **„განთავსდეს მხოლოდ მსუბუქი მაგიდები და სკამები ერთ რიგად“**

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

6. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. №51/2-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.132.009) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიისთვის" (ს/ნ: 204861961) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიისთვის", ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. №51/2-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, კიბის და პანდუსის მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 10 (ათი) წლით.
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - 2 700 ( ორიათას შვიდასი) ლარი.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია" საკუთრებაში ფლობს, ქალაქი თბილისში, ქეთევან წამებული გამზირი, N51/2-ში მდებარე - 1463.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს.

დასასრულს, ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ არქიტექტურის სამსახურის წერილის თანახმად, სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. №51/2-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე პანდუსისა და კიბის მოწყობა.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, შ. დადიანის ქ. №7-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.025) პირდაპირი განკარგვის წესით მიხეილ გავაშელისთვის (პ/ნ: 01019062511) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მიხეილ გავაშელისთვის, ქალაქ თბილისში, შ. დადიანის ქ. №7-ის მიმდებარედ არსებული 12

კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით**, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება **5 წლით.**
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - **1500 (ათას ხუთასი) ლარი.**

**საკითხის წარმომდგენმა** დაამატა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, აღნიშნული პირი, თანასაკუთრების უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, შ. დადიანის ქ. №7-ში მდებარე ფართებს.

დასასრულს, **ნინო კვეტენაძემ** აღნიშნა, რომ არქიტექტურის სამსახურის წერილის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, დადებითი შეფასება მიეცა 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვის საკითხს ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**8.** იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, იერუსალიმის ქ. №1-ის მიმდებარედ არსებული 83 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (**საკადასტრო კოდი: №01.18.03.066.011**) პირდაპირი განკარგვის წესით **შპს „ქერო“-სთვის (ს/ნ: 416341300)** იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის განმარტებით,** წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **შპს „ქერო“-სთვის,** ქალაქ თბილისში, იერუსალიმის ქ. №1-ის მიმდებარედ არსებული 83 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით**, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება **5 (ხუთი)** წლის ვადით.
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - **7000 (შვიდი ათასი) ლარი**

**საკითხის წარმომდგენმა** დაამატა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, კომპანია იჯარის უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, იერუსალიმის ქ.№1-ში მდებარე სარდაფს, ხელშეკრულებაში, იჯარის მოქმედების კონკრეტული ვადის მითითების გარეშე.

დასასრულს, **ნინო კვეტენაძემ** აღნიშნა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით დადებითი შეფასება მიეცა იერუსალიმის ქ. №1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის, იჯარის ფორმით განკარგვის საკითხს, ღია კაფეს მოწყობის

მიზნით, გარკვეული რეკომენდაციის გათვალისწინებით, კერძოდ, ტუმბოებისა და შემოღობვის გარეშე.

**აზრი გამოთქვა:**

**კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა,** ხაზგასმით აღნიშნა, რომ ღია კაფეების **მოწყობისას, გათვალისწინებულ უნდა იქნას ქვეითთა ინტერესები.**

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიახი ხაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**9.** იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის III მიკრორაიონის II კვარტალის კორპუს N7-ში **(საკადასტრო კოდი: N01.17.07.006.006.01.020)** მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მიწისძვრით დაზარალებული პირისთვის - მოქალაქე **ჟენიკ ავდოიანისთვის (პ/ნ 01030001879),** ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის III მიკრორაიონის II კვარტალის კორპუს N7-ში მდებარე უძრავი ქონების, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

**ნინო კვეტენაძის** თქმით, მოქალაქე ჟენიკ ავდოიანის მეზობლები სანოტარო აქტით ადასტურებენ, რომ ზემოაღნიშნულ მისამართზე ჟენიკ ავდოიანი ცხოვრობს 2002 წლიდან.

**ნინო კვენეტაძემ** იქვე დასძინა, რომ სააგენტოსი წარდგენილია, ისნის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მოქალაქე ჟენიკ ავდოიანისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვა:**

**კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს საპრივატიზებო საფასური, **სიმბოლური თანხა - 1 (ერთი) ლარის ოდენობით.**

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა - **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

10. **იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს მდებარე 35047 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.17.005.109) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, პარლამენტის წევრმა - **ბექა ოდიშარიამ** განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა ქ. თბილისში, ბერძნის ქ. №39-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ნივთების (ს/კ: №01.18.04.009.032; №01.18.04.020.183) **მონაცვლეობის საკითხის განხილვა.**

**ნინო კვეტენაძის** თქმით, ბექა ოდიშარიას, თავის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ:№01.18.04.020.183) დაგეგმილი ჰქონდა სასტუმროს მშენებლობა, პროექტის ოპტიმალური სახით რეალიზების მიზნით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ გამოცხადებულ აუქციონზე დამატებით შეიძინა მიმდებარედ არსებული 196 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.18.04.009.032).

როგორც **ქალბატონმა ნინომ** განმარტა, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №01.18.04.020.183 - საკადასტრო ერთეული მოქცეულია ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში, ხოლო №01.18.04.009.032 - საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება **საცხოვრებელი ზონა (სზ-3)** - დაბალი ინტენსივობის შერეული საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრები არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს.

როგორც **იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა** განაცხადა, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ბატონმა ოდიშარიამ განაცხადა თანხმობა, **სამშენებლო განვითარების შესაძლებლობის მქონე სხვა ტერიტორიაში გაცვალოს ორივე უძრავი ქონება,** საბაზრო ღირებულებების გათვალისწინებით. ამ მიზნით მან შესაძლებლად მიიჩნია განხილულ იქნეს ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მ/რ, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს არსებული 35047 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.11.17.005.109). ასევე, ბექა ოდიშარიამ გამოთქვა თანხმობა, რომ თუ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება აღემატება მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების საბაზრო ღირებულებას, სხვაობის არანაკლები ოდენობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსაზღვრულ საპრივატიზებო საფასურს გადაიხდის დამატებით. ხოლო, თუ მის

საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება სანაცვლოდ გადმოსაცემი უძრავი ქონების ღირებულებას, ამ სხვაობასთან დაკავშირებით არ ექნება არანაირი პრეტენზია თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

როგორც **ქალბატონმა ნინომ** განმარტა, მიწის ნაკვეთები შეფასდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, 2019 წლის 25 მარტის მდგომარეობით, ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მიკრორაიონი, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს მდებარე 35047 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, საორიენტაციოდ **განისაზღვრა 6 766 181 ლარის ოდენობით.** რაც შეხება ქ. თბილისში, ბერძნის ქ. №39-ის მიმდებარედ არსებულ უძრავ ნივთებს მათი ტერიტორია მოიცავს გარკვეულ პერიოდებში ცალ-ცალკედ აუქციონებზე შესყიდული მიწის ნაკვეთების ტერიტორიებს, რომლებიც აუქციონებით საერთო ჯამში შეძენილია <u>211835 ლარად.</u>

**საკითხის წარმომდგენის** თქმით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დამკვეთის მიერ მოთხოვნილ იქნა მიწის ნაკვეთების (მის საკუთრებაში არსებული) მთლიანი საბაზრო ღირებულების დადგენა სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე რეგისტრირებული განაცხადით წარდგენილი პროექტის შესაბამისი მახასიათებლების შენობა-ნაგებობის მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობით. ექსპერტის მიერ კვლევა ჩატარებულ იქნა დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად - აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული საპროექტო ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების (საპროექტო ობიექტში გათვალისწინებული ფართობები, ასევე - პროექტის შესაბამისად გაანგარიშებული კ1-ის, კ2-ის, კ3-ის მონაცემები: K1:0.4; K2:1.5; K3:0.3) გამოყენებით, საიდანაც დათვლილ იქნა სარეალიზაციო ფართობი, ამასთან - იმ დაშვებით, რომ ეს მაჩვენებლები სწორია. აღნიშნული მონაცემების ფარგლებში ჩატარდა კვლევა და **იმ დაშვებით, რომ განხორციელდება ხსენებული პროექტის შესაბამისი მახასიათებლების ობიექტის მშენებლობა,** მიწის ნაკვეთების მთლიანი საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ განისაზღვრა **5 648 815 ლარის ოდენობით, 2018 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით,** იმ შენიშვნით, რომ **დადგენილი საბაზრო ღირებულება მოქმედია მხოლოდ დასკვნაში მითითებული პროექტის შესაბამისი მახასიათებლების შენობა-ნაგებობების მშენებლობის განხორციელების შემთხვევაში.**

**ნინო კვეტენაძის** თქმით, 2018 წლის 17 სექტემბერს, ელექტრონული განაცხადით, მერიის არქიტექტურის სამსახურს მიმართა მოქალაქე **ირაკლი ქაფიანიძემ** და მოითხოვა ქ. თბილისში, ქუჩა ბერძნის N38-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ბერძნის N39 მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ბერძნის N 39 მიმდებარედ, ნაკვეთი 20/141; ქალაქი თბილისი, ქუჩა ბერძნის N39 მიმდებარედ, ნაკვეთი 20/173; ქალაქი თბილისი, ქუჩა ბერძნის N39-ის მიმდებარედ; **სასტუმროს ტიპის საცხოვრებლის (III კლასი) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება.** (N01.18.04.020.183 საკადასტრო ერთეულზე გაცემულია 2017 წლის 18 ოქტომბრის N3599333 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები) საკითხი განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. თუმცა, წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად 2018 წლის 19 დეკემბრის შუალედურ გადაწყვეტილებაში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები:

- 2017 წლის 18 ოქტომბრის N35999333 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაცემულია N01.18.04.020.183 საკადასტრო ერთეულზე. განცხადება და პროექტი წარდგენილია ორ საკადასტრო ერთეულზე (01.18.04.020.183 და 01.18.04.009.032) ვინაიდან ხდება ორივე საკადასტრო ეროეულის განვითარება, პირველ ეტაპზე საჭიროა შევიდეს ცვლილება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში;

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მიხედვით, შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრულია 15 მეტრი (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის და სასტუმროსთვის) საჭიროა ობიექტი მოვიდეს შესაბამისობაში „გაპ"-თან;

- პროექტი საჭიროებს, საპროექტო ობიექტთან დაკავშირებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების და პროექტისთვის გათვალისწინებული მონაცემების და პარამეტრების დაზუსტებას ან ცვლილებას და ა.შ..

ქალბატონი ნინოს თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოადგინა: „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების IV მიკრორაიონში, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს მდებარე 35047 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.17.005.109) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხი", ბექა ოდიშარიას (პ/ნ: 01008017236) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ბერძნის ქ. №39-ის მიმდებარედ არსებული 3284 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის (ს/კ: №01.18.04.020.183) და ქ. თბილისში, ბერძნის ქ. №38-ის მიმდებარედ არსებული 196 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.04.009.032) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა - 1 117 366 (ერთი მილიონ ას ჩვიდმეტი ათას სამას სამოცდაექვსი) ლარი, აუდიტორული (ექსპერტის) დასკვნით დადგენილი საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობა.

აზრი გამოთქვა:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ბექა ოდიშარია, თაბორის მთაზე მდებარე 3 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ, მუხიანში, თითქმის ათჯერ მეტი ფართობის ტერიტორიას მიიღებს. ქალბატონი ლილეს თქმით, ბატონმა ოდიშარიამ 3 ათასზე მეტი კვ.მ ტერიტორია შეიძინა ცალ-ცალკედ აუქციონებზე. აღნიშნული ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ბექა ოდიშარიამ

შეიძინა, პირობიანი აუქციონის გზით, მიწის ნორმატიულ ფასად. მისივე თქმით, როდესაც ოდიშარიამ იყიდა აღნიშნული მიწა, იცოდა, რომ იქ იყო ლანდშაფტური ზონა. ლილე ლიპარტელიანის თქმით, მერიამ დეპუტატის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ღირებულება ხელოვნურად გაზარდა, როდესაც მასზე მშენებლობის უფლება გასცა და დღეს, 212 ათას ლარად შეძენილ მიწის ნაკვეთში ოდიშარია 5 მილიონ 600 ათას ლარის ქონებას მიიღებს.

კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა** ისუბრა ფაქტობრივ მოცემულობაზე და განმარტა, რომ რომ ბექა ოდიშარიამ თავის საკუთრებაში არსებული 3 ათასზე მეტი კვ.მ ტერიტორია შეიძინა 211835 ლარად. ბატონი ლევანის განმარტებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაიცა 2017 წელს. მისივე თქმით, როდესაც მიწის ნაკვეთს მოყვება სამშენებლო დოკუმენტაცია, იზრდება მიწის ფასი.

**ბატონი ლევანის** განცხადებით ბატონ ოდიშარიას, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიეტის მერიის არქიტექტურის სამსახურისგან მოთხოვნილი ჰქონდა სასტუმროს ტიპის საცხოვრებლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება. მისივე თქმით, როდესაც ქალაქი რაიმე საკითხს მიზანშეუწონლად თვლის და კანონიერ მესაკუთრეს უზღუდავს მშენებლობის უფლებას, საქმის გადაწყვეტის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. პირველი - არის ადგილმონაცვლეობა, რასაც ვაკეთებთ, მეორე - მესაკუთრის მხრიდან ქონების ჩუქება მუნიციპალიტეტისთვის, მესამე - საქმეში პროკურატურის ჩართვა და ქონების წართმევა. ჩვენ ვირჩევთ სამართლებრივ გზას და ადგილმონაცვლეობაზე შეთანხმებას ვაფორმებთ- განაცხადა ლევან ჟორჟოლიანმა.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, მონაცვლეობა, როგორც ყოველთვის, ასევე ბექა ოდიშარიას შემთხვევაში, განხორციელდა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს შეფასების საფუძველზე, სამხარაულის ექსპერტიზის ბიურომ ორივე მიწის ნაკვეთი შეაფასა და ღირებულებიდან გამომდინარე ხდება მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა - **გიორგი ჩაკვეტაძემ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა ხდება სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის საფუძველზე.

**კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, ვინაიდან, გაცვლის ფორმით პრივატიზება ხორციელდება **საპრივატიზებო საფასურით**, ხოლო, **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება გასაცვლელი ქონების საბაზრო ღირებულებას, მიზანშეწონილია**, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ასევე მიეთითოს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2015 წლის 12 აგვისტოს N21-85** დადგენილებით დამტკიცებული **წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი**, რომლის თანახმად, **„თუ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება გასაცვლელი ქონების საბაზრო ღირებულებას, გაცვლის ფორმით პრივატიზება ხორციელდება საპრივატიზებო საფასურით, აუდიტორული (ექსპერტის) დასკვნით დადგენილი საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობით“**, ხოლო, წარმოდგენილი განკარგულების **პროექტის პირველ პუნქტში** მითითებულ იქნეს:

**საპრივატიზებო საფასური**, აუდიტორული (ექსპერტის) დასკვნით დადგენილი საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობა.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა- **ელენე ოზაშვილმა,**

ასევე, განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

11. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე წყალმომარაგების ქსელის (ს/კ:#81.00.885) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ამხანაგობა **„სოფელი შინდისის მოსახლეობასთვის“** ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე წყალმომარაგების ქსელის საკუთრებაში გადაცემას შემდეგი პირობებით:

- ✓ საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრება - **სიმბოლური ფასი 1 (ერთი) ლარი.**
- ✓ საპრივატიზებო პირობად განისაზღვრება პრივატიზების საგნის, როგორც წყალმომარაგების ქსელის, **შემდგომი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.**

**ნინო კვეტენაძის** თქმით, საკითხი ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯების გაღებას წყალმომარაგების ობიექტთან ელ. კომუნიკაციის მიყვანის მიზნით.

**აზრი გამოთქვა:**

**ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, წარმოდგენილ განკარგულების პროექტში უნდა მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - **„სიმბოლურ ფასი - 1 (ერთი) ლარი“.**

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

12. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ოცხელის ქუჩა N4-ში (**საკადასტრო კოდი: N01.19.33.002.017.01.010**) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, არადეეწილის სტატუსის მქონე მოქალაქისთვის - **გიორგი ინასარიძისთვის (პ/ნ 01029002335)**, ქალაქ თბილისში, ოცხელის ქუჩა N4, სართული 4, ბინა N10-ის ფართით 71.08 კვ.მ, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად**, საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

**ნინო კვეტენაძის** თქმით, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მე-5 განყოფილების უბნის უფროსი დეტექტივ-გამომძიებლის, წერილის თანახმად, მოქალაქე გიორგი ინასარიძე ნამდვილად ცხოვრობს და სარგებლობს აღნიშნული საცხოვრებელი ფართით.

როგორც **მომხსენებელმა** განაცხადა, სააგენტოში წარდგენილია სანოტარო აქტი, რომლის თანახმად გიორგი ინასარიძის მეზობლები ადასტურებენ ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ ფართში გიორგი ინასარიძის 1993 წლიდან ცხოვრების ფაქტს.

დასასრულს, **ქალბატონმა კვეტენაძემ** აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია შუამდგომლობა, რომლითაც, სამგორის რაიონის გამგებელმა მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მოქალაქე გიორგი ინასარიძისთვის პრივატიზების ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაცემის თაობაზე.

**აზრი გამოთქვა:**

**კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს საპრივატიზებო საფასური, **სიმბოლური თანხა - 1 (ერთი) ლარის ოდენობით.**

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა - **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

13. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი" ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში (**საკადასტრო კოდი:**

N01.14.05.003.007.01.518) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, სოციალურად დაუცველი პირისთვის, ზინაიდა კანდელაკისთვის (პ/ს 01024012446), ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში მდებარე უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვეტენაძის თქმით, ზინაიდა კანდელაკის მეზობლები ნოტარიულად ადასტურებენ, რომ ზინაიდა კანდელაკი 2002 წლიდან - დღემდე ნამდვილად ცხოვრობს მისამართზე: თბილისი ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N48. ბ. 518.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ ვაკის რაიონის გამგეობის ვაჟა-ფშაველას საუბნო განყოფილების უფროსის მიერ, ვაკის რაიონის გამგებლისთვის წარდგენილი წერილის თანახმად, ქალბატონი ზინაიდა 2001 წლიდან დღემდე ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე. აღნიშნული პიროვნება ცხოვრობდა ვაშლიჯვარში, საკუთარ სახლში, რომელიც 1996 წელს გაყიდა და დარჩა უსახლკაროდ, ხოლო, ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის სიტყვიერი თანხმობით ქალბატონი ზინაიდა შევიდა ა. პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48, ბ.518-ში. მოქალაქე არის მარტოხელა, პენსიონერი, უმუშევარი, ქრონიკული ავადმყოფი, სოციალურად დაუცველი, ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის უფასო სასადილოების ბენეფიციარი.

დასასრულს, ნინო კვენეტაძემ დასძინა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, მოქალაქე ზინაიდა კანდელაკის სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში ჩაემატოს დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური: „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა - ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ქუჩა ანნა პოლიტკოვსკაიას N48-ში **(საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.509)** მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, არადევნილის სტატუსის მქონე პირისთვის, მოქალაქე - **თეიმურაზ ჩხეიძისთვის (პ/ნ 01005008980)**, ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში, I სადარბაზოს მე-5 სართულზე, **36.86 კვ.მ** ფართის ბინა N509-ის **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად**, საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

როგორც **საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, სააგენტოში წარმოდგენილია, ვაკის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ფართის, მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ პირისთვის - **თეიმურაზ ჩხეიძისთვის** საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

**ნინო კვეტენაძის** თქმით, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს II განყოფილების წერილის და მასზე თანდართული ბინაზე გამოცხადების და გასაუბრების ოქმების მიხედვით, მოქალაქე **თეიმურაზ ჩხეიძე, 2002 წლიდან დღემდე**, ოჯახთან ერთად, ნამდვილად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

**ნინო კვენეტაძემ** იქვე დასძინა, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „იმედის", 2018 წლის 2 ოქტომბრის, კრების ოქმი თანახმად, მოქალაქე თეიმურაზ ჩხეიძე, ოჯახთან ერთად, როგორც მიწისძვრით დაზარალებული, დღემდე ცხოვრობს ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48, I სადარბაზო, მე-5 სართულზე, ბინა N509-ში.

**დასასრულს**, საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, მოქალაქე თეიმურაზ ჩხეიძესა და მისი ოჯახის წევრებზე, საკუთრების უფლებაუძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

**აზრი გამოთქვა:**

**კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ასევე, განკარგულების პირველ პუნქტში უნდა მოხდეს პრივატიზებას დაქვემდებარებული უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის **„სიმბოლურ ფასად -1 (ერთი) ლარად"** მითითება.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა - **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**15.** იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მასივი-3, III მიკრორაიონის კორპუსი N319კ-ში (**საკადასტრო კოდი: N01.19.39.010.001.01.024**) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგეხილი გახკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **არადევნილის სტატუსის მქონე პირისთვის, მოქალაქე სიავუშ კიკინაძისათვის,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მასივი-3, III მიკრო რაიონი, კორპუსი N319 კ-ში, ბინა N24-ის, ფართით 97,35 კვ.მ - **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

**ნინო კვეტენაძის** თქმით, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-8 განყოფილების წერილის თანახმად, აღნიშნული მოქალაქე **24 წლის მანძილზე** ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

**საკითხის წარმომდგენმა** იქვე დასძინა, რომ მოქალაქე სიავუშ კიკინაძის მეზობლები, სანოტარო წესის შესაბამისად, ხელმოწერით ადასტურებენ, რომ სიავუშ კიკინაძის ოჯახი **1995 წელს** გამგეობის ნებართვით შესახლდა, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მასივი-3, III მიკრო რაიონი, კორპუსი N319კ, ბინა N24-ში და დღემდე ცხოვრობენ.

**დასასრულს, ნინო კვენეტაძემ** განაცხადა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, სიავუშ კიკინაძისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

**აზრი გამოთქვა:**

**კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი რედაქციით მიეთითოს მთავრობის N19.309.416 განკარგულების მიღების თარიღი და ნომერი, აგრეთვე, სასურველია, აღინიშნოს დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების **საპრივატიზებო საფასური - 1 (ერთი) ლარის** ოდენობით და პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა - **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

16. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.15.001.300.03.03.007; №01.14.15.001.300.03.03.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, დავით სოკოლოვისთვის ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ს მე-4 სართულზე მდებარე 70.3 კვ.მ. ფართობის ბინის და ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა, კორპუსი X-ის მე-4 სართულზე მდებარე 51.3 კვ.მ. ფართობის ბინის საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, 2014 წელს, დავით სოკოლოვს და მის მეუღლეს ქ. თბილისში, ყივშიძის ქ. #5-ში მშენებარე საცხოვრებელ კომპლექსში გადაეცათ 122 კვ.მ ფართობის ბინა, 1991-1992 წლების ცნობილი მოვლენების დროს ქონებრივი ზარალის საკომპენსაციოდ მისაღები თანხის, 64 800 ლარის სანაცვლოდ. ქალბატონი ნინოს თქმით, ეს ბინა, როგორც მშენებარე ობიექტი, საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მათ თანასაკუთრებად. მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ გარკვეული გარემოებების გამო ვერ მოხერხდა საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის დასრულება, რაც მიზეზი გახდა იმისა, რომ საზოგადოებისთვის ცნობილი ეს პიროვნება წლების განმავლობაში მოკლებული არის ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით ხდება, დავით სოკოლოვისთვის და მისი მეუღლისთვის გადაცემული, დაუმთავრებელი ბინის სანაცვლოდ, იგივე საბაზრო ღირებულების - ორი საცხოვრებელი ფართის, სიმბოლური ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემა.

ქალბატონი ნინოს თქმით, გადასაცემად შერჩეული ორი საცხოვრებელი ფართი შეფასდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ექსპერტიზის დასკვნით გადასაცემად შერჩეული ერთი ბინის საბაზრო ღირებულება, 2019 წლის 7 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 139 900 (ას ოცდაცხრამეტი ათას ცხრაასი) ლარის ოდენობით, ხოლო გადასაცემად შერჩეული მეორე ბინის საბაზრო ღირებულება, 2019 წლის 7 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 102 100 (ას ორი ათას ასი) ლარის ოდენობით. რაც შეეხება ქ. თბილისში, ყივშიძის ქ. №5-ში მდებარე, მშენებლობა დაუმთავრებელი შენობის მე-8 სართულზე გათვალისწინებულ 122 კვ.მ ფართობის №40 ბინას, 2019 წლის 7 მარტის ექსპერტიზის დასკვნით, იგი შეფასდა ვაკის რაიონის გამგეობის 2014 წლის 13 აგვისტოს №6 ბრძანების საფუძველზე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობის შიდა აზომვითი ნახაზის მონაცემებით მისი მშენებლობა დასრულებულ შენობაში განთავსების მდგომარეობით და მისი საბაზრო ღირებულება თეთრი კარკასის მდგომარეობით განისაზღვრა 244 366 (ორას ორმოცდაოთხი ათას სამას სამოცდაექვსი) ლარის ოდენობით, ხოლო მწვანე კარკასის მდგომარეობით - 260 592 (ორას სამოცი ათას ხუთას ოთხმოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.

ნინო კვეტენაძის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა დავით სოკოლოვისთვის გამოყოფილი ბინის საბაზრო ღირებულებად განიხილავს მწვანე კარკასის მდგომარეობით განსაზღვრულ ოდენობას. გარდა ამისა მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს დავით სოკოლოვის თხოვნის დაკმაყოფილებას, მისთვის განკუთვნილი ბინის

საბაზრო ღირებულების გადამოწმებასთან და განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით. ქალბატონი ნინოს თქმით, აღნიშნული ბინის განმეორებითი შეფასების შედეგები განხილული იქნება დამატებით.

**საკითხის წარმომდგენის** თქმით, თბილისის მთავრობისთვის მისაღებია დავით სოკოლოვის პოზიცია, რომლის თანახმად, ყიფშიძის ქ. №5-ში გათვალისწინებულ 122 კვ.მ ბინაზე აღრიცხული საკუთრების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ დათმობა, მისი მხრიდან უზრუნველყოფილი იქნება გარდაცვლილი მეუღლის კანონისმიერი მემკვიდრის გაწსაზღვრის პროცედურის დასრულების შემდგომ.

**აზრი გამოთქვა:**

**კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, პროექტის პირველ პუნქტში უნდა მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა - **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

17. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების I მიკრორაიონის კორპუს N1-ში **(საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.087.02.513)** მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **მოქალაქე ირინა გაგნიძისთვის (პ/ნ 01001037319)** ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების I მიკრორაიონის კორპუს N1-ში, პირველ სართულზე მდებარე **16.39 კვ.მ** ფართის, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

როგორც **საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, სააგენტოში წარდგენილია, გლდანი რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ბალანსზე რიცხული ფართის, მდებარე: ქ.თბილისი, მუხიანის I მ/რ, კორპუსი I, სართული I, ფართი **16.39კვ.მ**, მარტოხელა დედისთვის - მოქალაქე ირინა გაგნიძისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურად ფასად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

**ნინო კვეტენაძის** თქმით, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის III განყოფილების წერილის და მასზე თანდართული ოქმის

თანახმად, მოქალაქე ირინა გაგნიძე 2007 წლიდან დღემდე ოჯახთან ერთად ცხოვრობს, მისამართზე: ქ.თბილისი მუხიანი 1მ/რ, 1-კორპ, I სართულზე, ბინა N9-ში.

ქალბატონი ნინოს განმარტებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „აისის“ 2019 წლის 22 იანვრის, ნოტარიულად დამოწმებული კრების ოქმის თანახმად, დასტურდება, რომ მოქალაქე ირინა გაგნიძე 2008 წლიდან დღემდე, ოჯახთან ერთად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

ნინო კვენტაძემ იქვე დასძინა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, მოქალაქე ირინა გაგნიძესა და მისი ოჯახის წევრებზე, საკუთრების უფლება, უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის.

**აზრი გამოთქვა:**

**კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მოხდეს პრივატიზებას დაქვემდებარებული უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის **„სიმბოლურ ფასად -1 (ერთი) ლარად“** მითითება.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა - **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

18. **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებს გააცნო, ფრაქციის **„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“** თავმჯდომარის - ბექა დავითულიანის და ამავე ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების - ვახტანგ შაქარიშვილის და ჯაბა ჯიშკარიანის განცხადებები, რომლებიც ეხებოდა, ვახტანგ შაქარიშვილის და ჯაბა ჯიშკარიანის მიერ, ფრაქციის დატოვების საკითხს.

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა აღნიშნული საკითხი მიიღეს ცნობის სახით.**

**მოისმინეს:**

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **მაკა ნასრაშვილმა** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "საჯარო სამართლის იურიდიული პირის **„ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის“ (ს/კ 202058520) ლიკვიდაციის თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის“ ლიკვიდაციას.

როგორც მაკა ნასრაშვილმა განაცხადა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა, 2018 წლის 18 აპრილს დააფუძნა ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება“, რაც მიზნად ისახავდა ქალაქში საბიბლიოთეკო საქმიანობის ერთი მენეჯმენტის ქვეშ მოქცევას.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 9 ნოემბრის N673 ბრძანებულებით შეიქმნა სსიპ -„ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა" რომელიც, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ბალანსზე იყო, თუმცა მის დაფინანსებას და ინვენტარიზაციას ქალაქ თბილისის მერია ახდენდა.

ქალბატონი მაკას თქმით, სსიპ - „ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის“ ლიკვიდაციის მიზანია, ერთი მხრივ, ქალაქის საბიბლიოთეკო საქმიანობის ცენტრალიზება, მეორე მხრივ, სამართლებრივი სისტემის მოწესრიგება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სსიპ- ქ.თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიკვიდაციის პარალელურად მის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების მართვას დაიწყებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება“, რაც არ გამოიწვევს ბიბლიოთეკების საქმიანობის შეჩერებას.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრი - ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა, რამდენად უფლებამოსილნი არიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, განახორციელონ, პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაცია.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, უპასუხა ქალბატონ ლილეს და განმარტა, რომ სსიპ -„ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა" შეიქმნა, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის N673 ბრძანებულებით. ხოლო, საქართველოს მთავრობის 2007 წლის №131 დადგენილების პირველი პუნქტის მიხედვით, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულში მოქმედი ყველა სახელმწიფო ბიბლიოთეკა ჩაითვალა ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე თვითმმართველი ერთეულის დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებად, რომლის ლიკვიდაციას, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად დაფუძნებას და/ან რეორგანიზაციას, ასევე, ხელმძღვანელი პირების დანიშვნა-გათავისუფლებას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

„ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა - ელენე ოზაშვილმა გამოთქვა წუხილი, „თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის" სისტემაში შემავალი ბიბლიოთეკების თანამშრომლების თაობაზე. ქალბატონი ელენეს თქმით, სსიპ „თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის გაერთიანების“ თანამშრომლებს, „თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის" შესაძლო ლიკვიდაციის გამო, აქვთ შიში და მოლოდინი უმუშევრად დარჩენისა. ქალბატონი ელენე დაინტერესდა, გააგრძელებენ თუ არა ბიბლიოთეკარები მუშაობას და იგეგმება თუ არა მათი ხელფასების გაზრდა.

კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა** განაცხადა, რომ განსახილველი საკითხით პირადად დაინტერესდა და მის ხელთ არსებული ინფორმაცია კომისიის წევრებს გაუზიარა. ბატონი ლევანის თქმით, ბიბლიოთეკებთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები, სამართლებრივი პროცესის შემადგენელი ნაწილია და ბიბლიოთეკების მართვის უფრო ეფექტიანი განხორციელებას ემსახურება. მისივე თქმით, **„ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის“** ლიკვიდაციის განხორციელების შემდეგ, გაუქმებული სსიპ-ის თანამშრომლები, სურვილის შემთხვევაში, სამუშაოდ გადავლენ მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებაში. ბატონმა ლევანმა ისაუბრა ბიბლიოთეკების თანამშრომლების შრომითი უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე და მერიის წარმომადგენელს სთხოვა პოზიციის დაფიქსირება აღნიშნულთან დაკავშირებით.

მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **მაკა ნასრაშვილმა** განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებმა, მათ შორის ხელმძღვანელმა პირებმა, გამართეს შეხვედრები ბიბლიოთეკების გაერთიანებაში შემავალ 40-მდე ფილიალის წარმომადგენელთან. ქალბატონი მაკას თქმით, ყველა მათგანს განემარტა, რომ საუბარია მხოლოდ სამართლებრივი სტატუსის ცვლილებაზე. ქალბატონი მაკას თქმით, ბიბლიოთეკების თანამშრომლების სამუშაო პირობები არ იცვლება და მათ სამსახურეობრივ პოზიციებს არაფერი ემუქრება. მისივე თქმით, აღნიშნული ცვლილებების შესახებ ბიბლიოთეკარები ინფორმირებულნი არიან და მათ უკვე შეეთავაზათ ახლად შექმნილ გაერთიანებაში გადასვლა.

ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა, თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის გაერთიანებაში შემავალი რამდენი ბიბლიოთეკა გაუქმდება „ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის“ ლიკვიდაციის განხორციელების შედეგად.

**ქალბატონი მაკას** განმარტებით, „ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის“ ლიკვიდაციის განხორციელების შედეგად გაუქმდება გაერთიანებაში შემავალი ყველა ბიბლიოთეკა, ხოლო „ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის“ ბალანსზე რიცხული ქონება სრულად გადავა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

**ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან **ამოღებულ უნდა იქნეს:** საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **79-ე მუხლის მე-3 პუნქტი,** ხოლო, **მიეთითოს:** საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.**

ბატონი ლევანის თქმით, სასურველია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის **პირველი** მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

**განხორციელდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის (ს/კ 202058520) ლიკვიდაცია.“**

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა- **ელენე ოზაშვილმა,**

ასევე, დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**სხდომის თავმჯდომარე** **ლევან ჟორჟოლიანი**

**სხდომის მდივანი** **ნინო ჯალაღანია**